ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №56

21 ოქტომბერი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ვ. ძნელაძე, ვ. ოთარაშვილი, ბ. ფირცხელიანი.

მოწვეული სტუმრები:

1. ზურაბ წერეთელი – ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
2. ნინო მაჭარაშვილი – ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორი;
3. ცირა შალოშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა თინათინ ნიბლოშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1.საკითხი: ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ 2021 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვა.

მომხსენებელი: ნ. მაჭარაშვილი

თანამდებობა: ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორი.

2.საკითხი: ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების საქმიანობის ანგარიშის განხილვა

მომხსენებელი: ზ. წერეთელი

თანამდებობა: ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ანგარიშის მოსმენა მისასალმებელი სიტყვით გახსნა სხდომის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები მნიშვნელოვანია როგორც ლოკალურად, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში ქართული კულტურის, ხელოვნების სათანადო წარმოჩენისთვის. თბილისს წელს პირველად მიენიჭა წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი და ეს პლატფორმა საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა კულტურულ-შემოქმედებითი და ნოვატორული იდეების რეალიზებისთვის. განსაკუთრებული მადლობა ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ და ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელობას, ყველა თანამშრომელს, რომელთაც პანდემიური პროცესების მიუხედავად, მაღალაკადემიურად წარმართეს პროცესები და მოკლე დროში საკმაოდ მნიშვნელოვანი

პროექტების, ფესტივალების თუ კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელება შეძლეს.

წარმოდგენილი დღის წესრიგი განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა სიტყვა გადასცა ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორს, ნინო მაჭარაშვილს, რომელმაც დეტალურად მიმოიხილა ყველა ის პროექტი თუ ღონისძიება, რომელიც მიმდინარე წელს განხორციელდა „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში. როგორც ნინო მაჭარაშვილმა აღნიშნა, 2019 წელს ქალაქ თბილისის მერიამ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ“ განაცხადი შეიტანა გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის პროექტში „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ მონაწილეობის მიზნით, რომელიც 2002 წლიდან ტარდება და ქალაქებს აღნიშნული სტატუსი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ენიჭება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ კონკურსში პირველად მიიღო მონაწილეობა და წარდგენილი პროექტის მრავალფეროვნებისა და კომპლექსურობის გამო, პირველივე ცდაზე გაიმარჯვა, მაშინ, როცა ქალაქ თბილისს ჰყავდა 22 კონკურენტი, ფინალში – საფრანგეთისა და ინგლისის ქალაქებთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორის განცხადებით, წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი თბილისს 2021 წლის 23 აპრილიდან გადმოეცა (კუალა-ლამპურიდან) და ეს სტატუსი ერთი წლის განმავლობაში ექნება. რამდენადაც სტატუსი უშუალოდ ქალაქს გადაეცემა და არა მთლიანად ქვეყანას, ამიტომაც გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის მოთხოვნით, ნებისმიერი სახის ღონისძიება, ფესტივალი თუ აქტივობა მხოლოდ თბილისში უნდა განხორციელებულიყო.

„თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ გულისხმობს საგანმანათლებლო, შემეცნებით და კულტურულ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს მწერლობის, საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას, საერთაშორისო პროექტების მიმოცვლას. აღსანიშნავია, რომ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში გამოცხადდა ილუსტრაციების ფესტივალი, კონკურსები მთარგმნელებისთვის, გამომცემლებისა და მწერლებისთვის, ონლაინ-ფესტივალები. ასევე, წარმატებულად განხორციელდა სარეზიდენციო პროგრამები, რომელშიც ათმა მწერალმა გაიმარჯვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თ. ნიბლოშვილმა, ვ. ოთარაშვილმა, ა, ლაშხმა, ბ. ფირცხელიანმა, ნ. მაჭავარიანმა, ც. შალოშვილმა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თინათინ ნიბლოშვილი დაინტერესდა შემდეგი საკითხით: ფესტივალების თუ საკონკურსო ინფორმაციის გაცვლის დონეზე, რომელ უწყებებთან თანამშრომლობდა სამსახური, რაზეც ნინო მაჭარაშვილმა უპასუხა, რომ მთავარ დამხმარე რგოლს წარმოადგენდნენ: კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასწავლებლის სახლი.

თინათინ ნიბლოშვილი ასევე დაინტერესდა, რამდენად აქვს დასრულებულ პროექტს მომავალში დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა, რაზეც ნინო მაჭარაშვილმა

აღნიშნა, რომ ამის პროგნოზი საკმაოდ რთული იქნება, თუმცა არსებობს საგამონაკლისო პროექტები, როგორიცაა საბავშვო წიგნის ფესტივალი, რომელიც კერძო (საბანკო) სექტორის მხარდაჭერით, მომდევნო წლებშიც ჩატარდება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა, ცირა შალოშვილმა აღნიშნულთან მიმართებით განმარტა, რომ პროექტის მონაწილეებისთვის შექმნილი პლატფორმა (მთარგმნელობითი საქმის ხელშეწყობა კორეულ, ჩინურ, ფრანგულ, შვედურ, იაპონურ ენებზე) შორეულ პერსპექტივაშიც იარსებებს და ის უპირველესად ხელს შეუწყობს როგორც ამ ენებზე მომუშავე მთარგმნელთა დასაქმებას, ისე ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციას. ის, რაც საგამომცემლო სფეროში წლების განმავლობაში აისახება, უფრო რჩება, ვიდრე კონკრეტული პროექტი. მიზანიც სწორედ ეს იყო, ქართველ ავტორთა მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, ბევრად მაღალი ხარისხით.

კომისიის წევრი, ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა, ვინ მოდერატორობდა ღონისძიებას, რომელიც თბილისური ეზოს ფორმატით ჩატარდა და თემატიკა შეეხებოდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, რაზეც ნინო მაჭარაშვილმა უპასუხა, რომ ლევან ბერძენიშვილი იყო აღნიშნული თემის მომხსენებელი. ვაჟა ოთარაშვილის განცხადებით, ფშაველას შემოქმედების მეცნიერ-მკვლევართა ჩართვა ამ საქმეში იქნებოდა უფრო სწორი გადაწყვეტილება.

კომისიის წევრმა, ანა ლაშხმა მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" დირექტორს და ყველა თანამშრომელს, რომელთა ძალისხმევის შედეგად, კოვიდ-პანდემიური ვითარების პირობებში, თითოეული პროექტი თუ ღონისძიება ასე მრავალფეროვანი ფორმატით განხორციელდა, ხოლო კომისიის წევრის, ბორია ფირცხელიანის განმარტებით, იმდენად ამომწურავი პრეზენტაცია წარმოადგინა მომხსენებელმა, რომ სხვა დამატებითი კითხვის საჭიროებას არ ხედავს.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა სიტყვა გადასცა ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ზურაბ წერეთელს, განსახილველი საკითხის დეტალურად წარმოდგენის მიზნით.

ზურაბ წერეთელმა ისაუბრა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების საქმიანობაზე და ყურადღება გაამახვილა გასული პერიოდის განმავლობაში დედაქალაქის ბიბლიოთეკებში განხორციელებულ ცვლილებებსა და რეფორმებზე, მათ შორის, დასრულებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე.

ზურაბ წერეთლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა 2018 წლის 18 აპრილს დააფუძნა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება", რაც მიზნად ისახავდა ქალაქში საბიბლიოთეკო საქმიანობის ერთი მენეჯმენტის ქვეშ მოქცევას. ახალ გაერთიანებაში გადასვლით, ბიბლიოთეკების მართვა უფრო ეფექტიანი გახდა. ზურაბ წერეთლის განცხადებით, რეორგანიზაციის შემდეგ, თბილისის მულტიფუნქციურმა ბიბლიოთეკამ არაერთი ინფრასტრუქტურული თუ სარემონტო-სარეაბილიტაციო პროექტები განახორციელა. აღსანიშნავია, რომ გაერთიანების ყველა ფილიალი აღიჭურვა კომპიუტერებითა და პრინტერებით, მოწესრიგდა კონდიცირების სისტემა, გარემონტდა სველი წერტილები, მოეწყო ელექტროგაყვანილობის ახალი სისტემა. ამასთან, ვარკეთილისა და ვაკის მედიათეკებს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. გაერთიანების წიგნადი ფონდი შეივსო ხუთი ათასზე მეტი ეგზემპლარით, მათ შორის უცხოური ლიტერატურით. დაიგეგმა და განხორციელდა ბიბლიოთეკების გაერთიანების

რებრენდინგის სამუშაოები. მთელი წლის მანძილზე ხორციელდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები – როგორც ერთჯერადად, ისე გრძელვადიანი პერსპექტივით. სხვადასხვა თემატიკაზე ჩატარდა ოცზე მეტი საჯარო ლექცია, ხოლო მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრთან (ICPI) განხორციელდა ათეულობით ღონისძიება – ტრენინგები, კინოჩვენებები, საჯარო ლექციები, დისკუსიები. თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ სხვადასხვა უწყებებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ასევე გააფორმა მემორანდუმები.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, საბიბლიოთეკო საქმის პოპულარიზაციის საკითხებში მუნიციპალიტეტის როლი ყოველდღიურად მზარდია. სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა ის ფაქტი, რომ ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ და ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკის გაერთიანება საკმაოდ წარმატებულად პოზიციონირებს ახალ გამოწვევებთან მიმართებით. ისიც უდავოა, რომ, თბილისის მუნიციპალიტეტი დიდ ადგილს უთმობს ინფრასტრუქტურულ ნაწილს, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკების განახლებას, რეაბილიტაციას, რემონტს; ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებას, საგანმანათლებლო, შემეცნებით და კულტურულ პროგრამათა ხელშეწყობას.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ და ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკის გაერთიანების საქმიანობის წარმოდგენილი ანგარიშები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი

შეადგინა:
ირაკლი შამათავა